

**მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო
ინტერნეტ ფესტივალი**

დიოგენე 2020

**International Short Film Internet
Festival**

Diogenes 2020



**თბილისი
Tbilisi 30.03-30.06.2020**



წინათქმა

საერთაშორისო ინტერნეტ ფესტივალი "დარჩი სახლში და გადაიღე ფილმი"-ს მოწყობის იდეა სრულიად მოულოდნელად დაიბადა. ეს ნამდვილი ექსპრომტი გამოდგა – მას შემდეგ, როცა 2020 წლის მარტში გაირკვა, რომ „კოვიდ 19“ მართლაც რომ გლობალურ პრობლემას წარმოადგენდა და მთელ კაცობრიობას ერთობლივი ძალისხმევით და, ამავდროულად, გათითოკაცებულად, მოუწევდა მასთან ბრძოლა. ამ დროისთვის, თვითიზოლაციის რეჟიმზე უკვე გადასულმა ფესტივალის მოწყობის იდეის და პროექტის ავტორმა – კობა ცხაკაიამ მიმართა საქართველოს კინოაკადემიის პრეზიდენტს, რამაზ (ბუბა) ხოტივარს შეთავაზებით გაეხალისებინათ კინოთი დაინტერესებული თანამოქალაქეების თუ უცხოელი კოლეგების ყოფა და საქმეც ადგილიდან დაიძრა. რამდენიმე დღეში, ონლაინ მუშაობის პირობებში შემუშავებულ იქნა საჭირო დოკუმენტაცია და უკვე 30 მარტს საქართველოს კულტურის პალატამ, საქართველოს კინოაკადემიამ და TV სტუდია “იმედმა” გამოაცხადეს მოკლემეტრაჟიანი ფილმების მიღება ინტერნეტ ფესტივალზე “დიოგენე 2020”.

ფესტივალზე „დიოგენე 2020“ მოსახვედრად საჭირო იყო რამდენიმე პირობის შესრულება:

- ა) მოსაფიქრებელი იყო საგულისხმო ამბავი;
- ბ) მთავარი როლები უნდა გადანაწილებულიყვნენ ფილმის ავტორების ოჯახის წევრებზე ან მათზე, ვისთან ერთადაც ისინი იმხანად იმყოფებოდნენ;
- გ) ტელეფონით ან სხვა ვიდეო საშუალებით უნდა გადაღებულიყო 10 წუთამდე ხანგრძლივობის მოკლემეტრაჟიანი ფილმი;
- დ) მზა, დამონტაჟებულ-განმომავანებული ნამუშევარი Youtube-ზე ან Vimeo-ზე უნდა განთავსებულიყო და
- ე) უნდა შევსებულიყო განაცხადი და ფილმის ლინკთან ერთად გადაგზავნილიყო ფესტივალის ელექტრონულ ფოსტაზე: shmmh2020@gmail.com

ფეისბუქზე ფესტივალის ოფიციალურ გვერდად დადგინდა:

<https://www.facebook.com/groups/DiogenesGeorgia/>

საფესტივალო ფილმები განთავსდა ასევე კინოაკადემიის საიტზე <https://filmacademy.ge/>

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ფილმი უნდა ყოფილიყო გადაღებული 2020 წელს და ადრე არ უნდა გამოჩეუებულიყო ინტერნეტში ან სატელევიზიო ეთერში.

ჟანრობრივი თვალსაზრისით ავტორები არანაირად არ იზღუდებოდნენ – ვოლტერის თქმისა არ იყოს, მთავარია, ნაშრომი მოსაწყენი არ უნდა ყოფილიყო.

ორგანიზატორების გასაკვირვებლად, ფილმების გამოგზავნა პირველივე დღეებიდან დაიწყო, რადგან ადამიანებმა (პროფესიონალებმა თუ არაპროფესიონალებმა)

კარჩაკეტილობის პირობებში, ტექნიკური საშუალებების სიმწირის მიუხედავად, თავისდაუნებურად დაიწყეს შემოქმედებითი საქმიანობა – იღებდნენ და ქმნიდნენ საკმაოდ მრავალფეროვან (*ქანრისა და ფორმის მიხედვით*) ემოციურ, კრეატიულ, საინტერესო და შინაარსიან ნამუშევრებს.

მათ ზუსტად გაიგეს ამ პროექტის ავტორთა მოწოდება – „ვირუსს მხოლოდ ერთიანი ძალისხმევით გავუმკლავდებით“ – ნუ ვიქნებით დაქსაქსულები, ერთად დავდგეთ, ვიბრძოლოთ – შევქმნათ ფილმები და ერთად დავძლიოთ ეს განსაცდელი!

პანდემიამ და კარანტინმა ყველა საზღვარი წაშალა და გარკვეულწილად ახალი რეალობა შექმნა. ფესტივალის შეიქმნა ლოზუნგით "დარჩით სახლში და გადაიღეთ ფილმი", რაც სწორი გადაწყვეტილება გამოდგა იმ პირობებში, როცა სამყარო მომაკვდინებელ ვირუსს წინ აღუდგა შესაბრძოლებლად.

გამოთქმაში "დარჩი სახლში და გადაიღე ფილმი" იგულისხმებოდა, რომ ამ ახალ ვითარებაში მაყურებელი კი არ მიდიოდა კონოპროფესიონალების მიერ შექმნილი ფილმების სანახავად, არამედ ამ ექსტრემალურ პირობებში ფესტივალის თავად მივიდა მაყურებლის მიერ შექმნილი კინოს სანახავად და შესაფასებლად.

შეგვიძლია კი ასეთ პროდუქტს ვუწოდოთ სრულფასოვანი კინემატოგრაფი?

ეს ექსპერიმენტი და ამ ექსპერიმენტს შესაძლოა დავარქვათ – "კინოფოლკლორი" ან „ფოლკლორული კინო“, რადგან ის უშუალოდ მაყურებელიდან მოდის. როცა ვამბობთ „მაყურებელს“ გგულისხმობთ ყველას - პროფესიონალ კინემატოგრაფისტებს და არაპროფესიონალებსაც, რადგან განსაკუთრებულმა რეალობამ ისინი ერთნაირ პირობებში ჩააყენა და საკუთარი შემოქმედების წარმოსაჩენად მისცა თითქმის ერთნაირი ტექნიკური და მატერიალური აღჭურვილობა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ფესტივალის დაანონსების, მისი სპეციფიკისა და პირობების გამოცხადებიდან ერთი კვირის თავზე საქართველოში ამოქმედდა რამდენიმე ინტერნეტ პროექტი კინო პროდუქციის მიმართულებით, რომლებიც სწორედ ჩვენს მიერ შემოთავაზებულ პრინციპებსა და მოთხოვნებს ეფუძნებოდნენ. სატელევიზიო ეთერში გაჟღერებულმა ამ ინფორმაციამ ძალიან გაგვახარა და ფესტივალის პროექტის განხორციელების სისწორეში უფრო მეტად დაგვარწმუნა. ეს ნიშნავდა იმას, რომ ფესტივალის ორგანიზატორებმა სწორად განვსაზღვრეთ, ზუსტად მივაგენით და შევთავაზეთ საზოგადოებას ის, რისი გაკეთებაც მას კარანტინისა და პანდემიის პირობებში ქვეცნობიერად სურდა, მაგრამ ამის რეალიზების სწორ ფორმებსა და გზებს ვერ პოულობდა.

რა სპეციფიური ტენდენციები და მიმართულებები აისახა საკონკურსო ნამუშევრებში? შეიქმნა რაიმე მოულოდნელობა? ახალი შედეგები?

ის აპარატურა რაც ხელთ ჰქონდათ კარანტინში მოხვედრილ კინო პროფესიონალებსა და კინომოყვარულებს სავსებით საკმარისი გამოდგა საინტერესო ნამუშევრების შესაქმნელად. ტექნიკის განვითარებამ გადაღება საკმაოდ ადვილი და ყველასთვის ხელმისაწვდომი გახადა. ამან კი, თავის მხრივ, ახალი მოთხოვნილებები და გემოვნება ჩამოაყალიბა, რაც, სხვათა შორის, სრულიად ახალი ფორმატის – ვერტიკალური ვიდეოს,

ვერტიკალური ფილმების შექმნაშიც გამოიხატა. ჩვენი ფესტივალის ფორმატი, ბუნებრივია, მზად აღმოჩნდა "კინოფოლკლორის" ანუ ხალხური – მაყურებლიდან წამოსული კინოს ცნება გაეფართოვებინა და ეს ფილმებიც, ტრადიციული ხერხებითა და ტექნიკით გადაღებულ სურათებთან ერთად-შეეფასებინა.

საბოლოოდ, ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად შემოვიდა 127 ფილმის განაცხადი. კინო ნამუშევრების გეოგრაფიამ კი მთელი მსოფლიო მოიცვა. მათგან 81-მა ფილმმა დააკმაყოფილა წინასწარი პირობები და ჩართული იქნა კონკურსში. 46 ფილმი ფესტივალის ცალკეულ პირობებთან შეუსაბამობის გამო ვერ მოხვდა საკონკურსო სიაში. თუმცა "დიოგენე 2020"-ის ორგკომიტეტმა გადაწყვიტა ამ ფილმებისთვისაც გაეკვალა გზა ჩვენი ფესტივალის თვალსაჩინო შემოსულ მაყურებლამდე. ამასთან დაკავშირებით დავეკავშირდით ავტორებს თუ საავტორო უფლებების მფლობელებს წინადადებით ეს ფილმები კონკურსის გარეშე ჩვენებაში ყოფილიყვნენ ჩართულნი. ჩვენს კატალოგში წარმოდგენილია ის ფილმები, ვისი ავტორები დადებითი პასუხით გამოგვეხმაურნენ.

მადლობას ვუხდით ყველას, ვინც დაგვიდგა გვერდით, ვინც დაინახა ასეთი ფესტივალის მნიშვნელობა სახელმწიფოსთვისაც და ხალხისათვისაც – უპირველეს ყოვლისა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიას, ვინც მძიმე ვითარების მიუხედავად მხარი აგვიბა და დაგვეხმარა ფესტივალის წარმატებულ წინსვლაში – საქართველოს კინოაკადემიას, საქართველოს კულტურის პალატას, ტელე-სტუდია „იმედს“.

დიდი მადლობა განათლებისა და კულტურის სამინისტროს, კინოცენტრს, ევროპის კინო აკადემიას, ჩვენს პედაგოგებსა და ვიკის ვეტერანებს, ჩვენს საპატიო ჟიურის - სახელოვან ქართველ და უცხოელ კინემატოგრაფისტებს, და ბევრ სხვა სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურას და, რასაკვირველია, ჩვენი ოჯახების წევრებსა და ახლობლებს, რომლებიც ჩვენს ბუზღუნსა და წუწუნს გაგებით ეკიდებოდნენ და შეძლებისდაგვარად იტანდნენ.

ვიმედოვნებთ, რომ ფესტივალი დაეხმარა არა მხოლოდ ქართული კულტურის და ქართული კინოს პროპაგანდას არამედ ქართული პროდუქციის გაცნობას და რეკლამირებას მსოფლიო ბაზარზე.

მადლობა ყველას, ვინც ეს ყველაფერი დაინახა და დააფასა.

ჩვენ ვიშლებით, მაგრამ არ გემშვიდობებით! იმედი გვაქვს, რომ მომავალ წლებშიც, ახალ ფესტივალებზე, რომელთაც, ვიმედოვნებთ, ტრადიციულად ვაქცევთ, ჩვენ კვლავ შევხვდებით ერთმანეთს და ვნახავთ თქვენს მიერ შექმნილ ახალ, საინტერესო ფილმებს! ნახვამდის!

Foreword

The idea to hold the International Internet Festival "Stay Home and Make a Movie" came out of the blue. This was a real impromptu – after it became clear in March 2020 that the „Covid 19“ was indeed a global problem, and that all of humanity would have to fight it together and at the same time, wholeheartedly. By this time, the author of the idea and of the project to organize the

festival in self-isolation – Mr. Koba Tskhakaia addressed the President of the Georgian Film Academy, Mr. Ramaz (Buba) Khotivari with an offer to encourage fellow citizens interested in cinema, and their foreign colleagues as well. A few days later, working online, the necessary documents were developed, and on March 30, the Georgian Chamber of Culture, the Georgian Film Academy and the TV studio "Imedi" announced the receipt of short films at the Internet festival "Diogenes 2020".

In order to participate in the festival "Diogenes 2020" it was necessary to fulfill several conditions:

- A) a meaningful story was conceivable;
- B) The main roles should be assigned to the family members of the filmmakers or to those with whom they had to spend a long time in captivity;
- C) a short film of up to 10 minutes should have been made by telephone or other video;
- D) The finished, edited work was to be posted on Youtube or Vimeo; and
- E) The application should be filled in and sent with the link of the film to the festival e-mail: shmmh2020@gmail.com

The official Facebook page of the festival has been established:

<https://www.facebook.com/groups/DiogenesGeorgia/>

Festival films were also posted on the website of the Film Academy <https://filmacademy.ge/>

in order to participate in the competition, the film had to be shot in 2020 and had not previously been viewed on the Internet or on television.

From the point of view of the genre, the authors were not limited in any way, except that their work would not be boring.

To the surprise of the organizers, participants began to send their films from the very first days after the admission was announced, because people (professionals or non-professionals) started their creative activities despite their confined conditions, and the lack of technical means – shooting and creating quite diverse (by genre and form) emotional, creative and interesting works.

They have correctly interpreted the call of the festival organizers – "we will defeat the virus only by joint efforts" – let's not be confused, let's stand together, let's fight – make films and overcome this ordeal together!

The pandemic and quarantine erased all boundaries and created a somewhat new reality. The festival was created with the slogan "Stay at home and make a movie", which turned out to be the right decision in the conditions when the world stood up to fight the deadly virus.

"Stay at home and make a movie" meant that in this new situation, the audience did not even go to see the films created by professionals, but the festival itself came to see and evaluate the films created by the audience in this extreme situation.

Can we even call such a product a full-fledged cinema?

This is an experiment and we can call this experiment "film folklore" or "folk cinema" because it comes directly from the audience. When we say spectators, we mean everyone – professional cinematographers and non-professionals alike, because the special reality has put them in the same conditions and given them almost the same technical and material equipment to present their creations. It is noteworthy that a week after the announcement of the festival, its specifics and conditions, several Internet projects in the field of film production were launched in Georgia, which were based on the principles and requirements offered by us. This information made us very happy and convinced us more about the correctness of the festival project. This meant that the festival organizers correctly defined, accurately identified and offered to the public what it subconsciously wanted to do in quarantine and pandemic conditions, but could not find the right forms and ways to realize it.

What specific trends were reflected in the competition entries? Was there any surprise? New masterpieces?

The equipment at the disposal of quarantined film professionals and film lovers was quite sufficient to create interesting works. Technological development has made shooting quite easy and accessible to everyone. This, in turn, created new needs and tastes, which, among other things, manifested itself in the creation of a completely new format – vertical video, vertical films. The format of our festival, naturally, was ready to expand the commandment of "film folklore" or folk-cinema from the audience, and to evaluate these films, along with the pictures taken with traditional methods and techniques.

Finally, 127 film applications were submitted to participate in the festival. The geography of film works has covered the whole world. 81 of them met the prerequisites and entered the competition. 46 films could not be shortlisted due to non-compliance with certain festival conditions. However, the Organizing Committee of "Diogenes 2020" decided to pave the way for these films as well. In this regard, we contacted the authors or copyright holders to suggest that these films be screened in an out of competition format. Our catalog presents the films whose authors responded to us with a positive response.

The organizing committee likes to thank all of those, who saw the importance of such a festival for the state and for the people – first of all the Tbilisi City Hall and the Education and Culture Commission of the Tbilisi City Assembly – without their substantial support this Catalog would not have been published. We are grateful to the Georgian Film Academy, Georgian Chamber of Culture, TV studio "Imedi", who helped us in the successful progress of the festival. Our thanks to the Ministry of Education and Culture of Georgia, the Georgian National Film Center, the European Film Academy, our teachers and VGIK veterans, our honorary jury – famous Georgian and foreign cinematographers, and many other state and private organizations. And, finally, we are grateful indepted to our family members and loved ones who treated our buzz and grumbling with understanding and tolerated us as much as possible.

All this helped not only to propagate Georgian culture and Georgian cinema, but also to introduce Georgian products and advertise them on the world market.

Thanks to everyone who saw and appreciated it all.

We part, but we do not say goodbye! We hope that in the coming years, at the new festivals that we hope will become traditional, we will meet again and see exciting new films created by you!

See you later!

რატომ „დიოგენე 2020“?

იმედია, რიცხვ “2020“-თან დაკავშირებით ჩვენს მკითხველს დამატებითი შეკითხვები არ გაუჩნდება, ნამდვილ “დიოგენესთან” დაკავშირებით კი ურიგო არ იქნება შეგახსენოთ რამდენიმე საინტერესო ფაქტი ამ უჩვეულო ადამიანის შესახებ.

ცნობილი ძველი ბერძენი ფილოსოფოსი დიოგენე დაიბადა ქალაქ სინოპში ჩვენს წელთაღრიცხვამდე 412 წელს ფულის (დღევანდელი “ვალუტის” გადამცვლელისა და მევახშის, ჰიკესის ოჯახში და გარდაიცვალა კორინთეში ქ.შ-მდე 323-ში. დიოგენეს შესახებ დღევანდლამდე უამრავ მოგონილ თუ მოუგონელ ამბავს, ანეკდოტსა და ლეგენდას ყვებიან. ახალგაზრდობაში, დელფოსში ყოფნისას, ადგილობრივი პითიასთვის დასმულ შეკითხვაზე – “რა ხელობას მივყო ხელი” მან პასუხად მიიღო: “გადააფასე ფასეულობები”. ამ, თავდაპირველად ბუნდოვანი სიტყვების გასაგებად ახალგაზრდამ რაღაც ხანი დაჰყო, ბოლოს კი, ათენში გადასახლების შემდეგ, შეუერთდა ადგილობრივი ფილოსოფოსის, ანტისფენეს კინიკოსთა, იგივე ცინიკოსთა სკოლას.

ფასეულობათა გადაფასების პროცესში დიოგენე ათენის აგორის სიახლოვეს, პითოსში დასახლდა. “პითოსი” ჩვენებური ჭურის თუ ქვევრის მგვან განიერყელიან ჭურჭლად შეიძლება ჩაითვალოს, ძველი ბერძნები მათში ღვინოს, ზეთს, მარცვლეულობას ინახავდნენ და ქართველების წინაპრების დარადვე მიწაში მარხავდნენ. მომავალში, ევროპულმა ზეპირსიტყვიერმა ტრადიციამ ეს მოაზროვნე ხის კასრში “დაასახლა”, თუმცა იმ დროს ხის კასრები კაცობრიობას ჯერ არ გამოუგონია, შუა საუკუნეებში მცხოვრები ევროპელები კი ქვევრებს არ იცნობდნენ... ერთხელაც, ადგილობრივმა ათენელმა “ხულიგნებმა” დიოგენეს საცხოვრისი ქვით დაუმსხვრიეს, თუმცა კი ქალაქმა მას ახალი პითოსი მიართვა.

დიოგენე ხშირად ეკამათებოდა თავის თანამედროვე ფილოსოფოსებს, რომელთა შორის ყველაზე ცნობილი პლატონი იყო. მას შემდეგ, რაც პლატონმა წარმოთქვა, რომ “ადამიანი არის ორფეხა ცხოველი, რომელსაც ბუმბული არ აქვს”, დიოგენემ გაპუტა მამალი და გაუგზავნა ცნობილ ფილოსოფოსს, თან შეუთვალა – აგერაა პლატონისეული ადამიანიო. არც პლატონი აკლებდა დიოგენეს და მეტსახელად “ჭკუიდან გადასულ სოკრატეს” ეძახდა. დიოგენე შემდეგი სიტყვებით ეპაექრებოდა ნივთებისა და მოვლენების არსის პლატონისეულ მოსაზრებას: “თასს ვხედავ, თასობას კი ვერაო”...

თანამოქალაქეების ეპატირების მიზნით დიოგენე საჭმელს ქუჩაშივე მიირთმევდა, რაც იმხანად სრულებით მიუღებელი იყო (სხვა, გაცილებით უფრო ასოციალურ ქმედებებზე

რომ არაფერი ვთქვათ). ერთ მშვენიერ დღეს მან მოედანზე საჯარო ლექციის კითხვა დაიწყო ფილოსოფიურ თემაზე, თუმცა კი მას ყური არავინ აგო. განაწყენებულმა ფილოსოფოსმა ჩიტის ხმაზე დაიწყო ჭყვილი და მის გარშემო უმაღლვე უამრავი ბუზიყლაპია შემოიკრიბა; დიოგენემ დიაგნოზი უმაღლვე დაუსვა: “ათენელებო, ესაა თქვენი ჭკუის ფასი! სანამ ჭკვიანურ აზრებს გიზიარებდით, ყურადღება არავინ მომაქცია, უაზრო ფრინველივით აჭყივლების შემდეგ კი აგერ, რამდენი კაცი შემომესიეთო!” ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად დიოგენე დღისით ქუჩაში ანთებული ლამპრით დადიოდა და ამ საქციელს იმით ხსნიდა, რომ საღად მოაზროვნე ადამიანს დაეძებდა”. ერთხელ, მეკობრეთა ხელში მოხვედრის შემდეგ იგი მონად იქნა გაყიდული. ამ პერიოდში იგი თავისი მფლობელის შვილებს აღმზრდელად დაუდგა. მიმდევრებმა გამოთქვეს სურვილი ფილოსოფოსი მონობიდან გამოესყიდათ, მაგრამ მან უარით უპასუხა: “მე აქაც ჩემი ბატონის ბატონი ვარო”.

დიოგენე პირველი იყო, ვინც თავი “მსოფლიოს მოქალაქედ” გამოაცხადა, უარყოფდა სახელმწიფო საზღვრებს, ქადაგებდა მორალის ნორმების ფარდობითობას და ყოველნაირ ავტორიტეტს ეწინააღმდეგებოდა. ერთ-ერთი ცნობით ის იმავე დღეს გარდაიცვალა, რაც ალექსანდრე მაკედონელი. ამ უკანასკნელს კი ფილოსოფოსმა, პირადი შეხვედრის დროს სთხოვა: “ოდნავ გვერდზე დადექი, მზეს ნუ მიფარებო”.

დიოგენესეული ასკეტიზმის არსი მარტივად გამოითქმის – ჭეშმარიტი ბედნიერება თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაში მდგომარეობს. ჰოდა, საკუთარ ვიწრო კასრებში თუ ჭურებში გამოკეტილებს ისღა დაგვრჩენია ამ დიდი ფილოსოფოსის მცნებებს მივყვეთ და კინოხელოვნების ხერხებით გამოვხატოთ ჩვენი დამოუკიდებლობა და შინაგანი თავისუფლება.



დიოგენე სთხოვს ალექსანდრე დიდს გაიწიოს, ადარ დაუჩრდილოს მზე

Diogenes asks Alexander the Great not to obscure the sun for him

Why “Diogenes 2020”?

Hopefully, our readers will not have any additional questions regarding the number "2020", however it will not be wrong to remind some interesting facts about the real "Diogenes".

The famous ancient Greek philosopher Diogenes was born in the city of Sinope in 412 BC in the family of pawnbroker Hiccesey, and died in Corinth in 323 BC. A lot of stories, anecdotes and legends about Diogenes are told to the present day. As a young man, when he was in Delphi, he asked a question to local Pithia: "what should I do in the future?" The answer was cryptic: "reassess values." In this, at first obscure words to understand the young man spent some time, and finally, after the exile in Athens, joined the local philosopher, Antispenes the founder of the school of cynics.

In the process of reassessing values, Diogenes settled in a Pithos, near Athen's Agora. "Pithos" is the Greek name of a large storage container, used for bulk storage, primarily for fluids and grains; they were comparable to the drums, barrels and casks of recent times. In the future, the European oral tradition has "settled" this thinker in a wooden barrel, but at that time wooden barrels were not invented by mankind yet.

Diogenes often argued with his modern Plato. After Plato said that "man is a two-legged animal that has no feathers," Diogenes plucked a cock and sent it to the famous philosopher with a comment: "This is a Platonic man". Neither did Plato despise Diogenes, nicknamed "the mad Socrates." Diogenes used the following words to refer to Plato's view of the essence of things and events: "I see the cup, but I can't see the cup's essence" ...

In order to forgive his fellow citizens, Diogenes ate on the street, which was completely unacceptable at the time. One day he started reading a public lecture on the subject on a philosophical topic, though no one listened to him. The offended philosopher began to chirp at the sound of a bird, and soon a multitude of buzzards gathered around him; "Athenians, this is the price of your intelligence! when I was sharing clever thoughts with you, no one paid attention to me, and when I started twittering like a bird, look how many people gathered around me!" According to one legend, Diogenes walked down the street with a lighted lamp during the day, explaining that he was looking for a sensible person. " After falling into the hands of pirates, he was sold into slavery. During this time he raised his owner's children. Followers expressed a desire to buy him out of slavery, but the philosopher refused: "I am the master of my master here too."

Diogenes was the first to declare himself a "citizen of the world", preaching the relativity of moral norms and opposing all authority. According to one report, he died on the same day as Alexander the Great. The latter was asked by a philosopher during a personal meeting: "Get down a little, don't cover me with the sun."

The essence of Diogenes' asceticism is simple - true happiness lies in freedom and independence. However, with the release of this Coronavirus quarantine in our own narrow barrels or shells, we

are left to follow the orders of this great philosopher and express our independence and inner freedom through filmmaking



დიოგენე ერთგულ ძაღლთან ერთად, ხელში ლამპარით, რომელიც მას დღისით გზას უნათებდა (ქანდაკება, ფილოსოფოსის მშობლიურ ქალაქ სინოპში, თურქეთი)

Diogenes with his faithful dog and a lamp that illuminates his way in the daylight (sculpture, Sinop – Turkey)

მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ინტერნეტ
ფესტივალი

„დიოგენე 2020“

საორგანიზაციო კომიტეტის წევრები

International Short -Film Internet Festival "Diogenes 2020"

Organizing Committee



რამაზ (ბუბა) ხოტივარი

კინორეჟისორი, სცენარისტი, პროდიუსერი;
საქართველოს კინოაკადემიის პრეზიდენტი.

Ramaz (Buba) Khotivari

Film director, Screenwriter, Producer, President
of the Georgian Film academy




კობა ცხაკაია

რეჟისორი, მწერალი, პროდიუსერი.

Koba Tskhakaia,

Film director, Writer, Producer,



სოსო მჭედლიშვილი

კინოდრამატურგი, პროდიუსერი.

Joseph Mtchedlishvili

Screenwriter, Producer,



ნიკა აბრამაშვილი

კინოპროდიუსერი

Nika Abramashvili

Film Producer



ჟუკა მითაიშვილი

კინომცოდნე; საქართველოს კინოაკადემიის
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი.

Juka Mitaishvili

Film critic, PR Manager of the Georgian Film
academy



თამილა ხუციშვილი

საქართველოს კინოაკადემიის ოფისის
მენეჯერი; კოორდინატორი

Tamila Khutsishvili

Office Manager of the Georgian Film academy



გივი ბოლქვაძე

მულტიმედია, საინფორმაციო და ვებ
ტექნოლოგიების მენეჯერი

Givi Bolkvadze

Multimedia, Information and Web technologies
Manager



დავით გუჯაბიძე

კინოოპერატორი, კინორეჟისორი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
ჟიურისთან კომუნიკაცია

Davit (David) Gujabidze

Cinematographer, Film director, PhD in Art
Sciences, Communication with the Jury members

DIOGENES 2020 Jury Members




Eldar Shengelaia, Chairman of the Jury - film director, People's artist of Georgia, Georgian State and Rustaveli Prize laureate, many International Film Festival Prize winner.

ელდარ შენგელაია - კინორეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო და რუსთაველის პრემიების ლაურეატი, მრავალი საერთაშორისო კინო ფესტივალის პრიზიორი

მერაბ კოკოჩაშვილი - ჟიურის VIP წევრი კინორეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ასოცირებული პროფესორი საერთაშორისო კინოფესტივალების მრავალგზის გამარჯვებული. კინოს ასი წლის თავის იუბილესთან დაკავშირებით მისი ფილმი "დიდი მწვანე ველი" შეყვანილია პეზაროს (იტალია) კინო ფესტივალის საუკუნის ასი საუკეთესო და ნოვატორული ფილმის პროგრამაში.

ქართველმა კინომცოდნეებმა და კინოკრიტიკოსებმა "დიდი მწვანე ველი" (1967) მიიჩნიეს XX საუკუნის საუკეთესო ქართულ ფილმად



Merab Kokochashvili. jury VIP member - film director, People's artist of Georgia, Rustaveli Prize laureate, Ivane Javakhishvili Tbilisi State University professor; many International Film Festival prize winner. Georgian film critics considered his film "Big Green Valley" (1967) the best Georgian film of the XX century



ნატალია ბელოხვოსტიკოვა, ჟიურის VIP წევრი -- საბჭოთა და რუსი კინომსახიობი, რუსეთის სახალხო არტისტი (1984). სსრკ სახელმწიფო პრემიის ორგზის ლაურეატი (1971, 1985). მთავარი და მნიშვნელოვანი როლები შეასრულა ორმოცზე მეტ ფილმში, რომელთა ნაწილიც მოგვიანებით ჰიტებად იქცა.

Natalya Belokhvostikova, jury VIP member -- Soviet and Russian film actress. Honored Artist of the RSFSR (1984). Winner of two State Prizes of the USSR (1971, 1985). She played the main and supporting roles in more than forty films, some of them became film hits.

ვლადიმერ ნაუმოვი, ჟიურის VIP წევრი -- კინორეჟისორი, რუსეთის ეროვნული კინოაკადემიის ხელოვნებისა და მეცნიერების პრეზიდენტი, მრავალი საერთაშორისო კინოფესტივალის პრიზის მფლობელი.

Vladimir Naumov, jury VIP member -- film director, people's artist of the USSR, President of the National Academy of Film Sciences and Arts of Russia, many International film festival winner.



მარკ ზვიგუსკი -- საფრანგეთში ტურგენევის მუზეუმის დირექტორი, ლექტორი, მოსკოვის კინოაკადემიის (VGIK) სარეჟისორო ფაკულტეტის კურსდამთავრებული. იუნესკოს ფრანგული კლუბების ქსელის წევრი, 2019 წლიდან დელფური თამაშების ფრანგული საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი და ვიცე-პრეზიდენტი.

Mark Zviguski Director of the Museum of Turgueniev in France, lecturer, graduate of the Director 's Workshop of the Moscow Film Academy (VGIK), author and director of the famous play about relations between Ivan Turgueniev and Polina Viardo (Le Chant des Frênes). Member of the UNESCO French Clubs' Network, co-founder, and vice-president of the French Organizing Committee of the Delphic Games since 2019



მარინა კერესელიძე -- ხელოვნების ისტორიკოსი, კინომცოდნე. კინომემკვიდრეობის დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველოს კინოაკადემიის გამგეობის წევრი, კინოკრიტიკოსთა და კინოჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის FIPRESCI-Georgia-ს წევრი, საქართველოს სპორტული კინოსა და ტელევიზიის ფედერაციის პრეზიდენტის წევრი. Marina Kereselidze -- film critic, President of the Cinema Heritage Protection Association, Member of the International Federation of film critics FIPRESCI-Georgia, Member of the Presidium of the Federation of Sports Film&TV of Georgia

ლევან თუთბერიძე - კინორეჟისორი, მსახიობი, თბილისის სახელმწიფო თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, „ქართული კინოს განვითარების ცენტრის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, მრავალი საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებული.

Levan Tutberidze - film director, actor, Tbilisi State Theatre and cinema University associate professor, member of the Supervisory Board of the "Georgian film development center", many International Film Festival prize winner



ვალერი გასპარიანი, სომეხი კინოდრამატურგი და ჟურნალისტი.

სომხეთის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (2003). სომეხ კინომცოდნეთა და კინოკრიტიკოსთა ასოციაციის (FIPRESCI) და სომხეთის ეროვნული კინოაკადემიის წევრი.



Valeriy Gasparyan, Armenian script writer, journalist.

In 2003 he was awarded by State Premium of Armenia. He is a member of Armenian Association of Film Critics and Cinema Journalists (FIPRESCI) and Armenian National Film Academy.



ვიქტორია ბელოპოლსკაია -- კინოკრიტიკოსი, რუსული საავტორო დოკუმენტური კინოფესტივალის პროგრამის დირექტორი არტდოკფესტი (Artdocfest). საერთაშორისო დოკუმენტური კინოფესტივალის „ფლაერთიანას“ («Флаертиана») პროგრამერი. იგი იყო საერთაშორისო კინოფესტივალების ჟიურის წევრი ტამპერეში (ფინეთი) და ვარშავაში (პოლონეთი), ასევე FIPRESSI ჟიურის წევრი კინოფესტივალებზე ობერჰაუზენში, კრაკოვში, სიდნეიში, მუმბაიში.

Victoria Belopolskaya -- Film critic, program Director of the Artdocfest documentary film festival, programmer of the Flahertiana international documentary film festival, member of the selection Committee of the Kinotavr Russian open film festival. She was a member of the jury of international film festivals in Tampere (Finland) and Warsaw (Poland), as well as a member of the jury of FIPRESCI on film festivals in Oberhausen, Krakow, Sydney, Mumbai

გორან დუჟაკოვიჩი (ბოსნია და ჰერცეგოვინა)
დაიბადა 1966 წელს, კინორეჟისორი. ავტორი მრავალი მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური, მხატვრული და ორი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმისა. ბანჯა-ლუკას (BANJA-LUKA) საერთაშორისო ანიმაციური ფილმების ფესტივალის, რომელიც ტარდება 2008 წლიდან, დამფუძნებელი.

GORAN DUJAKOVIĆ (Bosnia and Herzegovina)
Born in 1966, film director. Author of several short documentary and feature films, and two feature-length documentary films. Founder and director of the International Festival of Animated Film BANJALUKA, which has been held since 2008





დავით ოქიტაშვილი - არტ-მენეჯერი საქართველოს კულტურის პალატის პრეზიდენტი, საქართველოს ხელოვნების მუშაკთა პროფესიული კავშირის პრეზიდენტი. საქართველოს თეატრალური უნივერსიტეტის პედაგოგი; განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ღონისძიებების დეპარტამენტის უფროსი. Davit Okitashvili – art-manager, President of the Chamber of Culture of Georgia, President of the Union of Art Workers. Teaches at the University of theater and cinema of Georgia; Head of Events Department at the Ministry of Education, Science, Culture, and Sport of Georgia.

მარია ლაპალაინენს -- ფინელი კინო დრამატურგი და კინორეჟისორი, მოღვაწეობს მოკლემეტრაჟიანი და დოკუმენტური ფილმების სფეროში, მისი ნამუშევრები ხშირად იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალებზე.

Maria Lappalainen screenwriter and film director from Finland. Maria's short films and documentaries, participated in many international film festivals



ელდარ მდინარაძე - კინორეჟისორი, პროდიუსერი, ტელეარხი „იმედის“ სამხატვრო ხელმძღვანელი. 70-მდე სატელევიზიო და ანიმაციური ფილმის პროდიუსერი, მრავალი პრესტიჟული საერთაშორისო კინოფესტივალის პრიზიორი. Eldar Mdinaradze - film director, producer, Artistic director at the TV channel "Imedi". Producer of up to 70 TV and animated films, Prize winner of many International Film Festivals.



საერთაშორისო ინტერნეტ-კინოფესტივალის "დიოგენე 2020" პრიზები

1. საუკეთესო მხატვრული ფილმი - "ჯულია", Mateo Nicolau De Las Moras, ესპანეთი - <https://www.youtube.com/watch?v=AuvxQshzNMg&feature=youtu.be>
2. საუკეთესო დოკუმენტური ფილმი - "შეხება", Dawn Westlake, აშშ. <https://www.youtube.com/watch?v=LehOVozBYD8&feature=youtu.be>
3. საუკეთესო ანიმაციური ფილმი - "კლოდეტი და ნამცხვარი", Fádhia Salomão, ბრაზილია - <https://www.youtube.com/watch?v=p7nnQbzFRGI&feature=youtu.be>
3. ქუთაისის სპეციალური პრიზი „ბავშვთა სულიერი ძვრების ოსტატური დანახვისა და გაგებისათვის“ - „ელიზასთვის“, Raúl Simao Ferraz, ვენესუელა - <https://vimeo.com/397350476> პაროლი - trendelasamericas
5. ქუთაისის სპეციალური პრიზი «შმოქმედებითი გამომგონებლობისა და ლაკონური მხატვრული საშუალებებისთვის» - „როდესაც მარკერი ამოიწურება“, მერცხი ნოველაძე -, საქართველო - <https://www.youtube.com/watch?v=cr-GcARuMtm>
6. ქუთაისის სპეციალური პრიზი «სოციალურად მნიშვნელოვანი თემის წარმოჩინებისათვის» - „საკანი 364“, ზოე როსიონს (შვეიცარია) და მატეო დამიოს (საფრანგეთი) — <https://vimeo.com/381693304> პაროლი - sm.

საერთაშორისო ინტერნეტ-კინოფესტივალის "დიოგენე 2020" დიპლომები

1. ქუთაისის სპეციალური დიპლომი „ორიგინალურობისთვის, განსაკუთრებული ხედვისა და არსებული პრობლემების საინტერესოდ წარმოჩინებისათვის“ - „ხორხეს სინდრომი“, ხულიო ანტონიო ესპინოზა პენია, ესპანეთი - <https://festhome.com/flnk/1436135eff6ac2>
Password: DioGeNes030720FEST
2. ქუთაისის სპეციალური დიპლომი «ადამიანის ბედის დრმა და ფაქიზი კვლევისათვის» - „რა ახსოვთ სკამებს“, ინნა კულიშოვა, საქართველო - <https://www.youtube.com/watch?v=bvPFdoC8OfU&feature=youtu.be>
3. ქუთაისის სპეციალური დიპლომი «დახვეწილობის და ლირიზმისთვის» - „ვარსკვლავების სინათლე“, მატეო ჰააგი, საფრანგეთი - <https://youtu.be/HO5IM5V6CoU>
4. ქუთაისის სპეციალური დიპლომი «ორიგინალური ინტერპრეტაციისთვის» - „შვიდი სასიკვდილო ცოდვა და ოთხი ჭეშმარიტება“, კარმენ პერესი გონზალესი, ესპანეთი - <https://youtu.be/SYP9E4p2Wuc>
5. ქუთაისის სპეციალური დიპლომი «2020 წლის პანდემიის ორიგინალური გაშუქებისთვის» - „პანდემიური 2020“, ანა ბარჯაძე, საქართველო - <https://youtu.be/UGtU9G5rUJK>
6. ქუთაისის სპეციალური დიპლომი „საუკეთესო არტისთვის“ - "სერფინგი სახლის პირობებში ანუ ჰოუმნეზიაში" თომას სერვეტი, საფრანგეთი - <https://www.youtube.com/watch?v=imIC35nRs9U>
7. ქუთაისის დიპლომი " ფესტივალის დევიზის შემოქმედებითი, ინტელექტუალური და იუმორით წარმოჩინებისათვის" - „ხელოვანის კარანტინი“, თეა ზერეკიძისა და ალექსანდრე ბაქრაძეს, საქართველო - <https://youtu.be/Rb5O73Wwo7k>

8. ქიურის დიპლომი «ჰუმანიზმისათვის» - „En Otras Noticias“ („სხვა ამბები“), როდრიგო სანჩეს დელ ვალე, ესპანეთი – <https://www.youtube.com/watch?v=ItkDACVGMUI&feature=youtube>
9. ქიურის დიპლომი « აქტუალური თემის წამოჩინებისათვის » - «ალუბლის ყვავილი», მარია მაგდალენა ბლანკო ბასალდუა, ესპანეთი – <https://youtu.be/H7gul0bz2jw>
10. ქიურის დიპლომი კატეგორიაში «ბავშვის ხედვა» (მე -2 ასაკობრივი ჯგუფი) - „ინლინ გაკვეთილი“, ირაკლი ჯორჯაძე, ნინო ცქიტიშვილი, ქსენია როსტომაშვილი, მარიკო ჯანიბეგაშვილი, მარიამ სეძენია, საბა გვასალია, ელენა ღუნდუა, საბა გუდუაშვილი, მარიკა დიასამიძე, საქართველო – https://www.youtube.com/watch?time_continue=17&v=avjcUlrCDKc&feature=emb_logo
11. მაყურებლის სიმპატიის დიპლომი - "პატარა რეჟიემი ბებოსათვის", ნაპარსკინაშვილი, საქართველო – <https://vimeo.com/418687028?fbclid=IwAR07Bk-DnDBYsikFaYA1zfdXZHGMGPmPelSdE4l2TV8lakzz6ckrxp8tS00>

International Internet-Film Festival "Diogenes 2020" Prizes

1. Best Feature Film – "Julia", by Mateo Nicolau De Las Moras, Spain, Spain
<https://www.youtube.com/watch?v=AuvxQshzNMg&feature=youtu.be>
2. Best Documentary film – "Touch", by Dawn Werhake, U.S.A.
<https://www.youtube.com/watch?v=LehOVoZBYDg&feature=youtu.be>
3. Best Animated Film – "Claudete and the cake", by Fádhia Salomão, Brasil,
<https://www.youtube.com/watch?v=p7nnQbzrGI&feature=youtu.be>
4. Special Jury Prize «For mastery and understanding of the movements of the children's soul» – "For Elise", by Raúl Simao Ferraz, Venezuela, – <https://vimeo.com/397350476> password – trendelasamericas
5. Special Jury Prize «For the artistic inventiveness and laconic artistic means» – "When the marker runs out", by Mertsí Rtveladze, Georgia – <https://www.youtube.com/watch?v=cr-GcARuMtM>
6. Special Jury Prize «For the social significance of the topic» – "Cell 364", by Zoé Rossion, Switzerland & Mathilde Babo, France – <https://vimeo.com/381693304> password - sm

International Internet-Film Festival "Diogenes 2020" Diplomas

1. Special Jury Diploma «For the originality of the implementation and a special look at the current problems of our time» - "The Syndrome of Jorge", by Julio Antonio Espinosa Peña, Spain – <https://festhome.com/flnk/1436135eff6ac2> Password: DioGeNes030720FEST
2. Special Jury Diploma «For a touching story about human fate» – "What Chairs Remember", by Inna Kulishova, Georgia – <https://www.youtube.com/watch?v=bvPFdoC8OfU&feature=youtu.be>
3. Special Jury Diploma « For subtlety and lyricism » – "Starlights", by Matthieu Haag, France – <https://youtu.be/HO5IM5V6CoU>
4. Special Jury Diploma « For the original interpretation » – "The Seven Deadly Sins and the For Last Thing", by Carmen Pérez González, Spain – <https://youtu.be/SYP9E4p2Wuc>

5. Special Jury Diploma «For original coverage of the 2020 pandemic - "Pandemic 2020", by Ana Barjadze, Georgia – <https://youtu.be/UGtU9G5rUJk>
6. Special Jury Diploma «For the best Art» – "Surf trip in homenesia", by Thomas Cervetti, France – <https://www.youtube.com/watch?v=imlC35nRs9U>
7. Jury Diploma «For creative ingenuity and humor in the embodiment of the motto of the festival» – „Quarantined artist“, by Thea Zerekidze and Alexander Bakradze, Georgia – <https://youtu.be/Rb5O73Wwo7k>
8. Jury Diploma «For sensitivity and careful attitude to a Human» – "En Otras Noticias" ("Other News"), by Rodrigo Sánchez del Valle, Spain – <https://www.youtube.com/watch?v=ltkDACVGMUI&feature=youtu.be>
9. Jury Diploma «For addressing the urgent topic of our time» – "Cherry Blossom", by María Magdalena Blanco Basaldúa, Spain – <https://youtu.be/H7gul0bz2jw>
10. Jury Diploma in the category «Children's look» (2nd Age group) – "Online Lesson", by Irakli Jorjadze, Nino Tsqitishvili, Qsenia Rostomashvili, Mariko Janibegashvili, Mariam Seqania, Saba Gvasalia, Elena Dundua, Saba Gulmagarishvili, Marishka Diasanidze, Georgia – https://www.youtube.com/watch?time_continue=17&v=savjcUlrCDKc&feature=emb_logo
11. Audience Award – " Little Requiem for Grandma" by Tamara Benashvili, Georgia – <https://vimeo.com/418687028?fbclid=IwARQ7Bk-DnDBYsikFaYA1zfdXZHGMGPmPelSdE4l2TV9lakzz6ckrpx8tS00>



DIOGENES 2020

Films in Competition

2070 218'

Documentary, Fiction <https://youtu.be/q3cud-BbUIE>

ფილმი მოგვითხრობს შესაძლო მომავალზე, თუკი ჩვენ არაფერს ვიღონებთ მის თავიდან ასაცილებლად

The Docu-fiction tells us a possible future if we do nothing to prevent it



სეზარ დენეკენი, ესპანეთი

César Deneken Spain

რეჟისორი, მსახიობი და სცენარის ავტორი. მან თავისი პირველი მოკლემეტრაჟიანი ფილმი 2012 წელს გადაიღო. ამ დროის განმავლობაში 60 მოკლემეტრაჟიანი ფილმი გადაიღო. ზოგიერთ მათგანს გადაეცა პრიზები სხვადასხვა ფესტივალზე:

Director -Actor and Screenwriters. He made his first short film in 2012. During this time, he has written and directed 60 short films. Some of them have been awarded in different contests:

იზოლაციის 50-ე დღე / 50th day of Isolation 32'

Comedy <https://www.youtube.com/watch?v=Lov94e7xWWU>

ფილმი ვიზუალურად და სიტყვიერად გამოხატავს მთავარი გმირის რუტინულ ყოფას, შიშებსა და სურვილებს იზოლაციაში ყოფნის დროს.

The film visually and verbally conveys the main character's routine presence, fears and desires in isolation.



სოსო გაზდელიანი, საქართველო

21 წლის, ჟურნალისტი

Soso Gazdeliani Georgia



21 years old, journalist

ხელოვანის კარანტინი, / Quarantined artist 326'

Drama/Comedy <https://youtu.be/Rb5O73Wwo7k>

ფილმი შედგება რამდენიმე მოკლე ნოველისგან. გადაღებულია მობილური ტელეფონით საშინაო პირობებში, არაპროფესიონალურად.

The film consists of several short novels. Shot on a mobile phone in domestic conditions.



თეა ზერეკიძე, ალექსანდრე ბაქრაძე, საქართველო

Thea Zerekidze, Alexander Bakradze Georgia

თეა ზერეკიძე - 42 წლის. ორიენტალისტი - საქართველოში პირველი ინტერნეტ-შოფინგ საგანმანათლებლო პორტალის zere.ge ავტორი. ბიზნესის მფლობელი, მოგზაურობისა და შემოქმედების მოყვარული.

Thea Zerekidze - 42 years. Oriental studies specialist, magistrate. Business owner. Author of the first online shopping and e-commerce guide in Georgia. Mother of twin boys. Love travel, creativity and art.

სურვილი / A Wish 50'

Fantasy <https://vimeo.com/418202062> Password: hominem quaero

იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს თვითიზოლაციისა და კარანტინის დროს არაფერია შესაძლებელი. მაგრამ არავის აუკრძალავს ოცნება და სურვილების ქონა.

It feels like nothing is possible during self-isolation and quarantine. But this is not true. Nobody forbade to dream and make a wish



ანა სარუხანოვა, საქართველო

Anna Sarukhanova Georgia

კინორეჟისორი და ვიდეო არტისტი. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის შესწავლისა და რეჟისორების უმაღლესი კურსების დამთავრების შემდეგ გადაიღო რამდენიმე მოკლემეტრაჟიანი ფილმი, სატელევიზიო სერიალი, მუსიკალური და fashion ვიდეოები. ზოგიერთი მისი მოკლემეტრაჟიანი ფილმი ნაჩვენები იქნა საერთაშორისო ფესტივალებზე, როგორიცაა ლოკარნო, სარაევო, დოქლისბოა და სხვა.

Anna is a film director and a video artist.


After studying journalism at Moscow State University and directing at Higher Courses of Scriptwriters and Directors, Anna shoot several short films, TV-Series, music and fashion videos. Some of her short films where screened on international festivals such as Locarno, Sarajevo, Doclisboa and others.

მარტო / Alone 116'

Thriller, Terror. <https://vimeo.com/402597232> password: jacznack

ქალი ცდილობს დააღწიოს თავი განყოფილებას, რადგან იქ რაღაც უცნაური იმალება.

A woman begs to be removed from the department because there is something very strange there



ჯიმი ა. კასტრო ზამბრანო არგენტინა

Jimmy A. Castro Zambrano Argentina

ბაკალავრი ხელოვნებაში, კინემატოგრაფიის განხრით, დაამთავრა ვენესუელის ცენტრალურ უნივერსიტეტში (U.C.V.), 2012წ. მსახიობი, ოპერატორი, რეჟისორი, სცენარის ავტორი, პროდიუსერი, აღმასრულებელი პროდიუსერი

Bachelor in Arts, special mention in Cinematography, in the Central University of Venezuela (U.C.V.), 2012. Actor, Cameraman, Director, Screenwriter, Producer, Executive Producer

ასპირანტი / Aspirante 336'

Drama https://youtu.be/B_cJU9GLoFU

ტექნოლოგია ისწრაფვის ჩვენი ცხოვრების შესაცვლელად. მაგრამ მივდივართ კი უკეთესობისაკენ?

Technology aspires to change our life. But... for the better?



ლუის პედრეირა, პორტუგალია

Luis Pedreira Portugal

ლუის პედრერა წარმოშობით პორტუგალიის ჩრდილოეთიდანაა, მონტალეგრედან. მუშაობდა სამთო ინჟინრად. მაგრამ მუსიკისა და აუდიოვიზუალური ხელოვნებისკენ სწრაფვამ აიძულა შეეცვალა კურსი. თავიდან მან გადაიღო რამდენიმე კომედიური ვიდეო, შემდეგ როგორც პროდიუსერი და რეჟორტიორი მუშაობდა პორტუგალიის ეროვნულ ტელევიზიაში, გადაიღო რამდენიმე ვიდეო-ეთნოგრაფიული ნამუშევარი მონტეგრელის საბჭოს კულტურისა და ტრადიციის შესახებ და ა.შ. 2020 წლის აპრილში, კოვიდ-19-ის დაპატიმრებების დროს, მან გადაწყვიტა "ასპირანტის" გაკეთება ტაის ლოზანოსთან ერთად.

Luís Pedreira is from Montalegre, north of Portugal. He graduated and worked in Mining Engineering. But the passion for music and audiovisuals made him change his course and dedicate to the 'Sótão de Histórias - Audiovisuales y Entretenimiento' project. Among several comedy video-musical works ('Haka Barrosã', 'Fumeiro Style', 'Comendo - Ti Henrique Capelas') and several experiences as a producer and reporter in portuguese national TV ('Portugal no Coração' - RTP1, 'Chakall e Pulga' - SIC, 'Praça da Alegria' - RTP1) he made the documentary 'Sapos e Bruxas' about the origin of 'Sexta 13' celebration in Montalegre. This documentary was selected for the 2012 edition of Fantasporto. With Armonía Films he participated in the documentary 'Num segundo' about road safety and was part of the organization of the III Festival de Cine y TV Reino de León. He made several video-ethnographic works on the culture and tradition of Montalegre council. He co-directed the shortfilm '5 cortes (5 cuts)' with Rodolfo Herrero and in april 2020, during the Covid-19 confinement, he decided to make 'Aspirante' with Thais Lozano.

ბრმა პაემანი დრეზდენში / Blind Date in Dresden 575'

Animation, Art <https://youtu.be/A5r8a1rZRhE>

ერნსტ იანდლის სასიყვარულო პოემა საფუძვლად დაედო მიუზიკლს "Tête-à-tête" დრეზდენელი ქალისა და მარსიანელის შეხვედრაზე. დაქირავებულ მანქანაში პაემანი სასიყვარულო სცენაში გადაიზრდება, რაც, საბოლოოდ, ორმახათის ძალადობრივი დემონსტრაციის ფონზე, სრულ ქაოსში დასრულდება.

A love poem by Ernst Jandl is the basis for a musical "Tête-à-tête" between a Dresden woman and a Martian. In a rental car it comes fast to a rushing love scene, which ends in total chaos in the environment of a violent Monday demo.



პეტერ ბოვინგი

Peter Böving

დაიბადა 1961 წელს Muelheim an der Ruhr– ში, ჩრდილოეთ რაინ -ვესტფალიაში. 2010 წელს მან დააარსა ანიმაციური სტუდია "Kloetzchenkino". 2006-2011 წლებში მართავდა ღონისძიებებს სარეკლამო კინოსა და მუსიკალურ კინოინდუსტრიაში. 1999 წელს დააარსა აუდიოწიგნების მწარმოებელი ფირმა „Shower

Records " და გამოაქვეყნა მრავალი დისკი ლიტერატურული დუბლირების, ფანკის და ჯაზის დარგში. 1993-2003 წლებში პიტერ ბოვინგმა ჩაატარა ტურები საკუთარი ლიტერატურული პროგრამით. 1983 წლიდან მუშაობს მუსიკოსად, ხოლო 1990 წლიდან მუშაობს კომპოზიტორად თეატრალური მუსიკის სფეროში, ძირითადად ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიაში.

Was born in 1961 in Muelheim an der Ruhr, in North Rhine-Westphalia. In 2010 he founded the animation studio "Kloetzchenkino". From 2006 to 2011 he held various commissions in the advertising film and music film industry. In 1999 he founded the audiobook label "Shower Records" and he published numerous CDs in the field of literary dubbing, funk and jazz in the distribution of EICHBORN (please refer discography). From 1993 to 2003 Peter Boeving made extensive tours with his own literary program, he visited the Goethe-Instituts in Germany, Switzerland, France, Scandinavia, the Baltic States and Russia. Since 1983 he works as a musician and since 1990 he works as a composer in the field of theater music, mainly in North Rhine-Westphalia.

საკანი 364 / Cell 364 257'

Documentary <https://vimeo.com/381693304> password - sm

მაშინ, როდესაც გერმანია ითვლება დემოკრატიის ერთ-ერთ საუკეთესო მოდელად, შტაზის ყოფილი პატიმარი აწვდის თავისი ძველი საკნიდან საშიშ ჩვენებას, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს თანამედროვე დემოკრატიების მდგრადობის საკითხს.

While Germany sits as one of the major democratic models, an ex-prisoner of the Stasi delivers from his old cell a frightening testimony that questions the sustainability of our contemporary democracies



ზოე როსიონი, მათილდა ბაბო

Zoé Rossion, Switzerland,
Mathilde Babo, France

ზოე როსიონი დაიბადა 1989 წელს, ჟენევაში. აქვს შვეიცარიისა და ბელგიის ორმაგი მოქალაქეობა. 2011 წელს გახდა ბაკალავრი HEAD-Genève- ში (Haute

école d'art et de design), სპეციალიზაციით ქანდაკება. 2015-ში კი დაასრულა ბაკალავრიატი კინოხელოვნებაში HEAD-Genève-ში.

Zoé Rossion Born in 1989 in Geneva, Switzerland. Joint Swiss and Belgian citizenship. 2011 BFA from HEAD-Genève (Haute école d'art et de design) Geneva, specialization sculpture. 2015 BA in Film from HEAD-Genève.

რომი 3-ში და პარიზში, სორბონასა და INA-ში, მაგისტრის ხარისხის მიღების შემდეგ, , მათილდა ბაბომ (1988) გადაიღო ორი მოკლემეტრაჟიანი ფილმი «Même pas peur» და «გაზაფხულის შემდეგ», რომლებიც მსოფლიოს მრავალ კინოფესტივალზე შეირჩა. . 2017 წელს მან ტელეარხზე Arte გადაიღო ორი დოკუმენტური ფილმი მდინარე დორდონის შესახებ,. 2019 წელს იგი აკეთებს დოკუმენტურ რადიო გადაცემას "კედლის მეორე მხარეს" ბელგიის ეროვნული რადიოსთვის RTBF. იგი ასევე მუშაობს როგორც ვიდეომემონტაჟ და როგორც კინორეჟისორი მუსიკალური ვიდეორგოლებისათვის.

After a master degree of cinema at Roma Tre and at the Sorbonne and INA in Paris, **Mathilde Babo** (1988) directed the two short films « Même pas peur » and "After the Spring" which have been selected in many film festivals around the world. In 2017 she co-directed two documentaries about the Dordogne river for the channel Arte. In 2019 she makes her first radio documentary "On the other side of the wall" for the Belgian national radio RTBF. She also works as a video editor and as a filmmaker for music videos.

აღუბლის ყვავილი / Cherry Blossom 518'

Fiction <https://youtu.be/H7gul0bz2jw>

24 წლის ლტოლვილი ლინა ცხოვრობს ესპანეთში და მუშაობს დამლაგებლად მეზობლების კომუნაში. ამ დროს ის შეხვდება მეზობელს ხულიოს. ერთის მხრივ, ყმაწვილი დაეხმარება ლინას გადალახოს სხვადასხვა დაბრკოლება და დაიხსნის რასისტული თავდასხმებისგან, რომელთა გამოც გოგონა ყოველდღიურ ცხოვრებაში იჩაგრება. მეორეს მხრივ, ხულიო შეიძენს სხვა ადამიანების თანაგრძნობის, მეგობრობის დაფასების უნარს, გაიგებს კულტურათმორისი შემწყნარებლობის ატმოსფეროს შექმნის აუცილებლობას

Lina, a 24-year-old refugee, lives in Spain. she works as a cleaner in a community of neighbors. Because of this she meets Julio, a neighbor of this block. On one hand, he will help Lina overcome the various obstacles and racist attacks that she suffers in her day to day life. On the other hand, Julio will learn the value of being able to empathize with other people, the value of friendship and the need to create climates of tolerance and interculturality.



მარია მაგდალენა ბლანკო ბასალდუა, ესპანეთი

María Magdalena Blanco Basaldúa Spain

ხელოვნებათმცოდნეობა: კრისტინა როტას სტუდენტი (2016-2019).

მსახიობი: "El enfermo imaginario" Jaime Buhigas (2012), "La cantante calva" Jaime Buhigas (2013).

რეჟისორი: "Cerezo en flor" ("აღუბლის ყვავილი") (2020)

Art studies: old student of Cristina Rota (2016-2019).

Acted on: "El enfermo imaginario" Jaime Buhigas (2012), "La

cantante calva" Jaime Buhigas (2013).

Director of: "Cerezo en flor" ("Cherry blossom") (2020)

კლოდეტი და ნამცხვარი / Claudete and the cake 277'

Animation, <https://vimeo.com/391672164> password: bolonha

კლოდეტს არასდროს ღლის საკუთარი ნამცხვრების სხვებისთვის გაზიარება. მაგრამ როდესაც ეს საქმიანობა ვალდებულებად იქცევა, მისი სიხარული ამოიწურება.

Claudete never gets tired of sharing her cakes with others. But when this activity becomes an obligation, her joy turns into exhaustion



ფადჰია სალომაო, ბრაზილია

Fádhia Salomão Brazil

ძირითად დროს ფილმების კეთებაში ვატარებ. ხანდახან ვაცხობ ნამცხვრებს. წლების განმავლობაში კინოინდუსტრიაში პატივცემულ რეჟისორებთან, მწერლებთან და მემონტაჟებთან სცენარებზე სუპერვაიზორად მუშაობისას, ვიგრძენი საკუთარი თავის გამოხატვის აუცილებლობა. საკუთარი კინემატოგრაფიული სტილის ძიება მოკლემეტრაჟიანი მხატვრული თუ დოკუმენტური ფილმების გადაღებით გამოიხატა, მაგალითად ისეთისა, როგორც *Clandestinas*, რომელმაც სხვადასხვა ფესტივალზე იქნა წარმოდგენილი.

ამჟამად ვსწავლობ კინოხელოვნების განხრით სამაგისტრო პროგრამაზე ლისაბონის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში Escola

Superior de Teatro e Cinema- ში,

I make films most of the time. Sometimes I make cakes.

After years working in the film industry as a script supervisor, alongside respected directors, writers and editors, I felt the need to also express myself. This search for my own cinematic style, resulted in the production of short films and documentaries, such as *Clandestinas*, presented several times in different places.

Currently, I am taking a Master's degree in Cinema at the Escola Superior de Teatro e Cinema, at the Polytechnic Institute of Lisbon.

წყვდიადი / Darkness 300'

Western, <https://www.youtube.com/watch?v=S-uTlr-MSM8>

მე სიტყვებით ძალიან მიჭირს ჩემი სათქმელის თქმა და ვფიქრობ ფილმების მეშვეობით უკეთესად გამომდის გამოხატო და დავაფიქსირო ჩემი აზრი.

I find it difficult to Express my thoughts in words so I think I can do it better with the help of the movie



დინო გეთიაშვილი, საქართველო

Dino Getiashvili Georgia

მხატვრული კინოს რეჟისორი, სცენარისტი, მონტაჟის რეჟისორი და ოპერატორი. 2000 წლიდან ვარ კინო სფეროში და ვქმნი ფილმებს ისე, როგორც ჩემი სახსრებით ვახერხებ. ვაკეთებ ყველაფერს მაღალ დონეზე, რაც გადაღებასთან არის დაკავშირებული.

Feature film director, screenwriter, editing

director and cameraman. I have been in the film industry since 2000 and I make films the way I can with my own means. I do everything at a high level when it comes to filming.

დღეები ჰგავდნენ ტოლ უჯრედებში ნაწერ ასოებს / Days like words, written in a grid paper 356'

Former drama https://www.youtube.com/watch?v=FbgeFclhpXs&feature=emb_logo

ფილმი ასახავს მხატვრის ცხოვრების ერთ დღეს იზოლაციაში.

The film depicts a day in the artist's life in isolation.



ნატო საჯაია

Nato Sajaia Georgia

